

THE STRUCTURE AND SEMANTICS OF PERSONAL NAMES IN SAMTSKHE  
ACCORDING TO THE "GREAT DEFTER OF GURJISTAN VILAYET"

სამცხის პირსახელთა სტრუქტურა-სემანტიკისათვის „გურჯისტანის  
ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

Lamzira Kobaidze

Doctor of Philology,

Associate Professor at Samtskhe-Javakheti State University,

13 Rustaveli St. Akhaltsikhe, Georgia,

+995 599 61 16 81, lamzira.kobaidze@gmail.com

<https://orcid.org/0009-0007-7752-9905>

**Abstract.** Two centuries of Ottoman rule left a profound mark on Samtskhe, altering not only the landscape of the region but also its demographic composition. This study explores the structure and semantics of the personal names of the region population, based on the records preserved in the "Great Defter of Gurjistan Vilayet."

Historically, Samtskhe encompassed a vast territory; therefore, this research focuses only on the personal names of residents from several villages within the Aspindza municipality (Idumala, Khertvisi, Sakudabeli, Orgora, and Rustavi) as recorded by Ottoman officials at the end of the 16th century. These villages were selected because of the presence of the resettled Mtiulian population. In 1944, many Mtiulians from the eastern highlands were resettled in these villages, where they met the local population. The aim of this study is to analyze the proper names of the people living there at that time in terms of their morphological structure and origin, as these names provide valuable historical and linguistic information.

**Keywords:** Personal name, Surname, Eponymous personal name, Sobriquet (Tikuni), Traditional kinship-based nickname (Sakhinjari), Nickname Anthroponymy, Metonymy.

**ლამზირა კობაიძე**

ფილოლოგიის დოქტორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №13, საქართველო,  
995 599 61 16 81, lamzira.kobaidze@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0007-7752-9905>

**აბსტრაქტი.** სამცხეს დიდი დადი დაასვა ოსმალეთის ორსაუკუნოვანმა ბატონობამ. შეცვალა არა მარტო სახე ქვეყნისა, არამედ მოსახლეობისაც. საინტერესოა, იქ მცხოვრები ადამიანების პირსახელთა სტრუქტურა და სემანტიკა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. სამცხე საკმად ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა წარსულში, ამიტომ შემოვიფარგლებით ასპინძის მუნიციპალიტეტში შემავალი მხოლოდ რამდენიმე სოფლის (იდუმალა, ხერთვისი, საყუდაბელი, ორგორა, რუსთავი), მცხოვრებთა პირსახელებით, რომლებიც XVI საუკუნის ბოლოს თურქ მოხელეს აღუწერია. სოფლები შევარჩიეთ ჩამოსახლებული მოსახლეობის მიხედვით. ზემოთ დასახელებულ სოფლებში აღმოსავლეთ მთიანეთიდან, 1944 წელს ჩამოსახლეს დიდი რაოდენობით მთიული მოსახლეობა. ბუნებრივია, მათ დახვდა აბორიგენი მოსახლეობა. გვინდა განვსაზღვროთ, მაშინდელი იქ მცხოვრები ადამიანების აღმნიშვნელი საკუთარი სახელების შესწავლა აგებულებისა და წარმომავლობის თვალსაზრისით, რომელიც მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველია.

**საკვანძო სიტყვები:** პირსახელი, გვარსახელი, ეპონიმური პირსახელი, თიკუნი, სახინჯარი, ანთროპონიმია, მეტონიმია.

**შესავალი.** საკუთარი სახელების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ანთროპონიმისათვის. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართველ ტომებს შორეულ წარსულში ჰქონიათ წარმართული სახელები ქრისტიანობამდე, ხოლო ქრისტიანობის შემდეგ პერიოდში გავრცელებულა კალენდარული სახელები. როგორც ჩანს, კალენდარულმა ანთროპონიმებმა დავიწყებას მისცა წარმართული ეპოქის პირსახელები. მართალია, გავრცელდა ქრისტიანული სახელები, მაგრამ ადამიანები მარტივად ვერ ივიწყებდნენ უძველეს პირსახელებს. ყველაფერ ამას ხელი შეუწყო ეკლესიის მიერ კალენდარული სახელების სავალდებულოდ გამოცხადებამ. განიდევნა ძველი და მკვიდრდება უამრავი უცხო წარმომავლის პირსახელი, რომელიც მკვეთრად აისახება მცხოვრებ მოსახლეობაზე.

ჩვენი **კვლევის მიზანია**, შევისწავლოთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სამცხეში მცხოვრები მოსახლეობის პირსახელთა სემანტიკა და სტრუქტურა 1655-57 წლებში. რომელიც საინტერესო და მრავალფეროვან მასალას იძლევა კვლევის თვალსაზრისით.

**მეთოდები.** კვლევისთვის გამოყენებულია აღწერითი, შედარებისა და ანალიზის მეთოდები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე“ დაკვირვებისას.

**შედეგები.** სამცხის პირსახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს მკითხველისას, თუ როგორაა შემორჩენილი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, ადამიანის აღმნიშვნელი პირსახელები, მათი სტრუქტურა და სემანტიკა და რამდენად აქტუალურია მაშინდელი ანთროპონიმია დღევანდელობასთან მიმართებით.

**მსჯელობა.** ასპინძა დიდი სოფელი ყოფილა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, ჯერ კიდევ „დავთრის შედგენის დროს 50 კომლიანი სოფელი ბაღებითა და ვენახებით და 25000 ახჩა შემოსავლით. ასპინძა, ექ. თაყაიშვილის მიხედვით, დიდი სოფელია და მეორე საფოსტო სადგური ახალციხიდან ახალქალაქამდე. ისტორიაში ასპინძა ცნობილია იმითაც, რომ აქ 1770 წელს ერეკლე მეორემ გაიმარჯვა თურქებისა და ლეკების ლაშქართან ბრძოლაში. დღესაც ასპინძა, დიდი სოფელია, ასპინძის რაიონისა და ასპინძის სასოფლო საბჭოს ცენტრი (**საქ. სსრ. აღმ-ტერიტ. დაყოფა, გვ. 18**) სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში“ ასპინძა მოხსენიებულია: ჯვესა სამცხისასა, სოფელსა **ასპინძას...(თაყაიშვილი,1949:64)**. მამასადამე, ასპინძა სამცხეში ყოფილა (**ჯავახიშვილი, 1948: 52**). ვახუშტის მიხედვით: ასპინძის-ჯევი ერთვის მტკვარს, „ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი (**ვახუშტი, 24**).

**დავთრის მიხედვით, ასპინძის ნაპიეში შემავალი სოფლებია: იდუმალა, სახუდაბელი, ონდორა, რუსთავი..**

**სოფელი იდუმალა** - სწორი და ქართული სახელია. „ასპინძიდან ორიოდე ვერსის სავალზედ“ ხელს აწერს იდუმალის მამასახლისი. საარქივო საბუთებში ნაჩვენებია, რომ იდუმალა( მემამულის სოფელია-1831წ. იგი ეკუთვნის ახალციხელ მოქალაქეს ნაზაროვს. ოშორის წყალზე მდებარეობს. დღეს იდუმალა ასპინძის რაიონში შემავალ იდუმალის სასოფლო საბჭოს შეადგენს (**ჯიქია, 1958: 194**).

დავთრის მიხედვით, **სოფელ იდუმალაში** უცხოვრიათ შემდეგ პიროვნებებს, შემდეგი პირსახელებით:

**ბადუჩა კოჭლა(?)**სძე საინტერესოა ეს პირსახელი, რომელიც ნაწარმოებია -**უჩ** მაწარმოებლით **ბად-უჩ-ა**, **ბადურის** კნინობითი ვარიანტია **.ბადურ(სპ)**. „რაინდი“ ამ სიტყვის თურქული ფორმაა **ბაჰადურ**, რომელსაც ქართულში მოუცია ერთი მხრივ **ბადურ**(აქედანაა გვარი **ბადურაშვილი**), მეორე მხრივ კი **ბაღათურ** (აქედან გვარი **ბაღათურია**). პირველი ფორმისაგან უნდა იყოს მიღებული სახელი **ბათური**, მეორისგან-**ბაღათურა**. ამავე სიტყვისაგან მომდინარეობს რუსული **Богатырь** (**ჭუმბურიძე, 1966:135**). მეტად საინტერესო ფორმაა **კოჭლას ძე**, როგორც ჩანს, **ბადუჩას მამა** კოჭლი უნდა ყოფილიყო და ამიტომ შეარქვეს **კოჭლა**. ადამიანებს ხშირად არქმევდნენ ფიზიკური გარეგნობის მიხედვით. **კოჭლა**- მეტსახელი უნდა ყოფილიყო. ქართველ ტომებს უძველესი დროიდან უნდა სცოდნოდათ მეტსახელის შერქმევა, ანუ **თიკუნი** არ ყოფილა უცხო. არც ისაა გასაკვირი, რომ ადამიანებს ზოგჯერ მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე პირსახელით. ბევრი ადამიანის აღმნიშვნელი სახელი სწორედ მეტსახელიდან მოდის.

**პაპუნა ძე მისი** წარმოშობით ქართული სახელია და ნიშნავს „პაპისა“ (**ჭუმბურიძე, 1966:161**). **პაპ-უნ-ა** კნინობით-მოფერებითი ფორმითაა წარმოდგენილი.

**იარალი** ბადუჩას ძმა (**თურქ. გვ.150**) წარმოშობით თურქული სახელია „შეყვარებული“ პირდაპირი მნიშვნელობით- „დაჭრილი“ (**ჭუმბურიძე, 1966:150**).

**მამუკა ძე მისი** სამეცნიერო ლიტერატურაში იკითხება : „**მამია** საეკლესიო კალენდრის მიხედვით ნიშნავს „**ძუმუძწოვარს**“, მაგრამ ხალხში იგი დამკვიდრებულია როგორც ქართული სახელი, სიტყვისაგან **მამა**. ტრადიციულ წარმართულ სახელად იხსენიებს **ალ.დლონტი (1967:12)** მამიას, რომელიც რელიეფურად შემორჩა მთას.ამავე სახელის მოფერებითი ფორმაა **მამ-უკ-ა, მამ-უკ-ელ-ა (ჭუმბურიძე, 1966:156)**.

დასახელებული პირსახელი სამსაფეხურიანი მაწარმოებელია კნინობითის -უკ-ელ-ა სუფიქსებით.

**ბატატა ფგფგსძე** - საკ. სახელ.ბატ-ატ-ა(ლლ.სახელ)ამავე ძირისაა: ბატ-ატ-უნ-ა-შვილი, ბატაშვილი, ბატიაშვილი,ბატკუაშვილი (მაისურაძე, 1990:32).

**გრიგოლ ფჰგჰჰგსძე** (ბერძ). „მღვიმარე“ „ფხიზელი“. მისი მოფერებითი ფორმებია: გიგა, გიგო, გიგლა, გიგოლი (ჭუმბურიძე, 1966:142).

**მახარა აღდგომელასძე** ქართული სახელია: აქედანაა გვარები : მახარაძე, მახარაშვილი. ძველად გავრცელებული იყო აგრეთვე ამ ძირიდან ნაწარმოები სახელი მახარობელ, საიდანაც მიღებულია გვარები: მახარობლიძე, მახარობლიშვილი. საეკლესიო კალენდარში მას შეესატყვისება ბერძნული სახელი ევანგელი (ჭუმბურიძე, 1966: 157). „ქართველურ ანთროპონიმიკაში მნიშვნელოვან ფენას ქმნის ზმნა, რომლის პირიანი და უპირო ფორმები საკუთარ სახელებად ყოფილა გამოყენებული ძველად. ზმნის პირიანი ფორმები: მახარე, მახარა, (აქედან მიმდებარე: მახარობელ, მახარობელი), მეწყინა, მეგონი, ... (ლლონტი 1967, 18). საფიქრებელია, რომ პირსახელი მახარა , რომელიც აღდგომელასძეა ზმნური წარმომავლობისაა. რაც შეეხება აღდგომელასძეს, აღდგომა დღეს დაბადებულებს არქმევდნენ, ხოლმე ჩვენი წინაპრები. ჩანს, პიროვნებანი დავთარში მამისახელით მოიხსენიებიან, როგორცაა აღდგომელასძე.

**პავლია დგფდგფსძე** (ლათ.) „პატარა“, „მცირე“ (სიტყვიდან პაულუს, რომელიც სახელადაც და გვარადაც გვხვდება ევროპაში (ჭუმბურიძე, 1966: 161).

**თევდორე ძმა მისი** (ბერძ). „ნიჭი“ (საჩუქარი) ღვთისა“. ეს სახელი ძველად იხმარებოდა ბერძნულთან უფრო ახლო მდგომი ფორმით: თეოდორე, აქედან თევდორე და ბოლოს თედორე (შდრ. დოროთე). ამჟამად ქართულში გავრცელებული შემოკლებული ფორმაა თედო.(თედო ჟორდანია, თედო სახოკია) წარმოშობით დამოუკიდებელი სახელი უნდა იყოს, შემოსული ხურიტულიდან (ჭუმბურიძე, 1966:149).

**ბადურა ძე მისი** საკ. სახელი „ბადურა“ (საამილახვრ..დავთ. 18). „ „1721 წ. ქ. თაფანს ყაფლანანთი: შიო ბადურაშვილი. ამისი განაყოფი დათუნა“ (ვახუშტი, 162). (ახუაშვილი, 1994: 242).

**ნოდარა ძმა მისი** (სპარსული). „ახალმოსული“, „ახლად მოვლენილი“ (ჭუმბურიძე, 1966:159).

**აედდსფდგფდუ შვილიშვილი (გაურკვეველია )**

**აღდგომელა ძმა მისი** ,როგორც ჩანს,ამ პირსახელს ადამიანს აღდგომა დღეს დაბადებულს არქმევდნენ, აღდგომელა ერქვა ქრისტეს საფლავის მომსახურე ქართველ ბერს(მეტრეველი, მასალები:34) „ყმის ნასყიდობის წიგნში ვინმე აღდგომელაა დასახელებული (ახუაშვილი, 1994: 1340. აქედან მივიღეთ გვარი აღდგომელაშვილი, აღდგომელაძე.

**ივანე ( ებრაული)ძე მისი** „ღვთის წყალობა“ (სიტყვასიტყვით: ის ვის მიმართაც ღმერთი მოწყალეა“ამ სახელის საწყისი ფორმაა იოჰანან. იგი სხვადასხვა სახით არის შესული მსოფლიოს სხვადასხვა ენაში. ქართულში ძველად გვხვდებოდა იოვანე და იოანე; აქედან მივიღეთ ივანე, მისი შემოკლებით კი-- ვანო. ამ სახელისაგან მიღებულია ქრთული გვარები: ივანიძე, ივანიშვილი... (ჭუმბურიძე, 1966:150), (ჯიქია,1941:139). რაც შეეხება ებრაული ძე-ს , რომელიც ივანეს მამა ჩანს, საკუთარი სახელი- ებრალა- ან ებრაულა-დან მომდინარედ, შესაძლოა, ჩაითვალოს. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით პირსახელს „ ებალა (საქ.სიდ.1.66).შდრ. მეტსახელი ებალა, ებალია, ბალა (ახუაშვილი, 1994:335).

**სოფელი მლაშისხევი**

სოფელი მლაშისხევი. დავთრის დროს მლაშისხევი 10 კომლიანი სოფელია. მლაშისხევი შედიოდა ასპინძა, იდუმალა, ოთა და ახალშენ სოფლებთან ერთად ასპინძის სასოფლო საბჭოში. ზისერმანით 1870 წ ლაშხევში 15 კომლია,. მდებარეობს

ომორისწყალთან, ახალციხიდან 22 ვერსის მანძილზე. ზისერმანის **ლაშხევის** რუსული თარგმანი **прекрасное ущелье** გაუგებარია. როგორც ჩანს, სოფელი პატარაა რამდენიმე კომლით. დღეს იდუმლის შემადგენლობაშია და ხევგაღმა ნაწილს წარმოადგეს. სოფლის მკვიდრნი **ლაშხევი**, მოიხსენიებენ. გამოდის, რომ სოფლის სახელი მლაშისხევი აღარ არსებობს, მხოლოდ იმ ნაწილის აღმნიშვნელად შემორჩა, სადაც ის მდებარეობდა. მაშინდელ ლაშხევიში უცხოვრიათ ადამიანებს შემდეგი პირსახელებით:

**სახელად ბადრია** (არაბ) **“სავსე მთვარე”**. ეს სახელი ჰქვია ზღაპრული ამირანის ძმობილს. მისგანაა მიღებული გვარები **ბადრიძე**, **ბადრიაშვილი** (**ჭუმბურიძე, 1966: 136**). საკ.სახელ. **ბადრი**, არაბულში ნიშნავს **14 დღის სავსე მთვარეს**. **შდრ. ბადრიაშვილი**, შუაფხო(დუშეთის რაიონი) (**ახუაშვილი, 1994: 242**).

**სახელად აღდგომელ** ---საკუთ. სახ. **აღდგომელი** მოწმედ მოიხსენიება 1601 წ. (ვარდიაშვილი-აღდგომელი) (დოკ. 1.14); აღდგომელა თაყა ბარათაშვილის ყმა, ზელი (იქვე, 51). „სახელს აღდგომელა, აღდგომა დღეს დაბადებულებს არქმევდნენ. **აღდგომელა** ერქვა ქრისტეს საფლავის მომსახურე ქართველ ბერს“ (მეტრეველი, მასალები, 34)

**ღვინიას შვილიშვილი** (ქართულია) დღეს ადამიანის სახელად იშვიათია, გვხვდება ხარის სახელად; გაიხსენეთ ეკ. გაბაშვილის მოთხრობა **„ღვინია გადაიჩეხა“**. მაგრამ წინათ რომ გავრცელებული ყოფილა, ამას ადასტურებს გვარები **ღვინიაშვილი**, **ღვინაძე**, **ღვინევაძე** (**ჭუმბურიძე, 1966: 168**).

**სახელად კვირიკა** (ბერძ) **„უფლისა“** (აქედანაა გვარები **კვირიკაძე**, **კვირიკაშვილი**). შეადარეთ სახელი უფლისა, სომხური **კირაკოს** (**ჭუმბურიძე, 1966: 153**).

**გრიგოლას შვილიშვილი** (ბერძ). **„მღვიმარე“ „ფხიზელი“**. მისი მოფერებითი ფორმებია: **გიგა**, **გიგო**, **გიგლა**, **გიგოლი** (**ჭუმბურიძე, 1966:142**).

**სახელად უთანმაზ(?)** **უთანელა** გვხვდება მხოლოდ. ფუძე, ვფიქრობთ, ერთი აქვთ **უთან**, რომელსაც კითხვის ნიშანიც დაუსვამს თურქ მოხელეს. ალ. დლონტთან მოხსენიებულია როგორც **გ. ლეონიძის სახელები** (**დლონტი, 1967:201**). **უთან-ელ-ა. კნინობით-მოფერებითი ფორმით** ჩანს წარმოდგენილი.

**ასვატურის შვილიშვილი** საკუთარი სახელი **ასატურა** (ს.კაკაბაძე, ბარათაანთ გაყრის წიგნი, 1536 წ. საისტ. მოამბე, 1924წ. 184); **ასატურა** ბერის შვილი, იესე გერმანოზიშვილის ყმა, ენაგეთში რუსუდან დედოფალმა უბოძა იესე გერმანოზიშვილს (1714 წ.) **ასატურა** ლოინაშვილი დასახელებულია მოწმედ 1721 წ. **შდრ(სომხ). ასტვაწატურ**, გეგარქ კონსტანტინეს ძე **ასატური** (ნამდვილი გვარი **ასტვაწატრიანი**)(თბილისი, 1863-1937წწ.)(სომეხი ლიტერატორი, მთარგმნელი, **ასატრიანი**, **ასტვაცატუროვი** იგივეა, რაც **ალავერდაშვილი**, სომხ. **ალავერდიანი**, თათრ. **ალავერდიევი** რუს. **ბოგდანოვი** (ანდრია, ვაშლოვანი,) (**ახუაშვილი, 1994: 224-225**). **ასატურაშვილი** სომხ. **„ღვთის ბოძებული“**, მოგვიანებით რუსული დაბოლოებით **ასატუროვი** (**ახუაშვილი, 1994: 642**).

**მახარებელ მამანასძე** ძირითადად უნდა უკავშირდებოდეს პირსახელს **„მახარე-ქართული სახელია**, აქედანაა მიღებული **მახარაძე**, **მახარაშვილი**,. ძველად გავრცელებული იყო ამ ძირიდან გავრცელებული სახელი **მახარობელა**. საეკლესიო კალენდარში მას შეესატყვისება ბერძნული სახელი **ევანგელი მახარებ-ელ**.. (**ჭუმბურიძე 1966:157**).

**ბატატა ვირსხალაძე(?)სზე** **ბატატა-** მაშინდელ მესხეთში გავრცელებული სახელია ფოცხოვის ხეობის რამდენიმე სოფელში (არჯანა, ზემო სხვილისი, ორალი, ზემო პამაჯი, ვალე, საძელი, ქვემო პამაჯი, ამ სახელებისაგან მიღებული გვაქვს გვარები: **ბატატაშვილი**, **ბატატუნაშვილი**, **ბატაშვილი**, **ბატიაშვილი**. სახელი უნდა დავუკავშიროთ ფრინველის სახელს. **ბატა** შეერქმეოდა ადამიანს ისევე, როგორც **წერო** (შდრ. გვარი **წეროძე**), **კაჭკაჭა** (შდრ. **კაჭკაჭაშვილი**), ქორი (**ქორიძე**). ჩამოთვლილი გვარსახელები გვამლევს უფლებას **ბატატა** დავშალოთ შემდეგნაირად: **ბატ-ატ-ა**. მასში გამოიყოფა კნინობითის სუფიქსი **-ატ** ისევე როგორც **ბატიაში** კნინობითის სუფიქსი **-ია** (**ბერიძე, 2010:218**).

**პაპუნა სდვდვდ-სძე** (ჯიქია, 1942:146). -უნა მაწარმოებელი კნინობით-საალერსოა სალიტერატურო ქართულში ძირითადად ზოგად სახელებში გამოიყენება: **დათუნა, ბიჭუნა, თაგუნა, ჩიტუნა**, რაჭულ დიალექტში გარდა ზოგადი სახელებისა, გამოიყენება ადამიანის საკუთარ სახელებთანაც: **დავითუნა, სიკოუნა, კიმოთუნა**. ფშავში ქალის სახელადაც: **დედუნა (ხორნაული, 2003: 236)**.

ასპინძის ნაპიეში „**გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის**“ მიხედვით შედის შემდეგი სოფლები: ონღორა, ღობიეთი ადგილითა და ხსენებული ადგილის ვენახებით

სოფელი ონღორა სათესველით- ადგილობრივ ხმარებულ სახელწოდებადაც ონღორა მაქვს ჩაწერილი. არქივისეულ სიებში რამდენიმედ დამახინჯებულია-**онгора**, მაგრამ უფრო დამახინჯებულია ეს სახელწოდება ერთ წიგნში, სადაც იხსენიება სოფ. ახალშენთან დაკავშირებით -**ангора**-დ. როგორც დავთარში, ისე ყველა იმ წიგნში, სადაც ჩვენ ამ სოფლის სახელი ვნახეთ, ამ სახელწოდების შემადგენლობაში „ნ“ და „ღ“ თანხმოვნები (რუსულ დამწერლობაში“ღ“-ს რ- ენაცვლება). ყველგან და უსათუოდ არის. ადგილობრივი მკვიდრის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ამხ. ნიკ. დიასამიძის მოწმობითაც ამ სოფლის ქართული სახელი ონღორაა. მით უფრო სრულებით უსაფუძვლოდ მიმაჩნია მე ტენდენცია ამ სიტყვის „**ორგორა**“ სიტყვად გააზრებისაკენ. ჩანს ამას იზიარებდა ალ. ფრონელიც, რომელიც წერს: „დაიწყეს სოფ. ონგორაში (რუსულად - **онгора**. მე ვგონებ, რომ ეს სოფელი ორგორა უნდა იყოს) კირის წვა და ზიდვა ზურგით ახალციხეს გასაყიდლად. უფრო გაუგებარია ოფიციალურ სიაში „**ორგორა**“ სახელწოდების დაკანონება. დღეს ონღორა, სოფელ სახუდაბელთან ერთად ონღორის სასოფლო საბჭოში შერდის. სოფელ ონღორისათვის საარქივო მასალებში შემდეგი მიჯნებია მოხაზული: აღმოსავლეთით სოფ. სახუდაბელი, დასავლეთით სოფ. ზველის მიწები, რომლებიც ახალციხელ კაჩხოვესა და გორელ ყანდინოვს (ყანდინაშვილს)ეკუთვნის, ჩრდილოეთით ნასოფლარი ყური და სამხრეთით არტანის წყალი. 1842 წელს სახუდაბლისა და ონღორის მფლობელნი იყვნენ მექენდაროვი და სტეფანე ალელოვი (ჯიქია, 1958:82).

სოფელი ონღორა-აგარა სათესლით(ექვემდებარება ზემოხსენებულ რ-ნს), რომელშიც უცხოვრიათ ადამიანებს შემდეგი პირსახელებით: დავთარში ხშირად გვხვდება სახელის ნაცვლად გაურკვეველი ნაწერი, რაც მოწმობს იმას, რომ თურქმა მოხელემ ვერ გაიგო. ბევრი კითხვის ნიშნითაც გვხვდება. მაგ:

**ფდსდ შამულასძე** --- მეტად საინტერესოა, გვარსახელი შამულასძე. რომელსაც სოფელ ონღორაში,(დღევანდელ ორგორაში ), უცხოვრია. ვფიქრობთ, შამულა შეიძლება იყოს შამილ ფორმის ფონეტიკური ვარიანტი. „შამილ“- დაღესტნელთა განთქმული იმამის (ბელადის) სახელია, რომელიც ქართულში ბოლო დროს გავრცელდა (**ჭუმბურიძე, 1966: 169**). შესაძლოა, იყოს შამაული ფორმით , რომელიც გვხვდება „შუამავალი, მაჭანკალი -ს მნიშვნელობით (ალ. ლ. გურ.) (**ლლონტი, 1984:621**). არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ხელობა-მოსაქმეობის მიხედვით შერქმეული სახელი იყოს. ქართული ანთროპონიმისათვის უცხო არ უნდა იყოს. დასაშვებია, მაჭანკლის, შუამავლის, შვილი ყოფილიყო ის პიროვნება ვისი სახელიც გაურკვეველია. საინტერესოა, კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც 1869 წლის თუშეთის ჩანაწერებში გვხვდება შაბალაძე-შაბალაშვილი, რომელსაც გადმოგვცემს გიორგი ცოცანიძე. ეს გახლავთ ის სიები, რომელთაც ადგენდნენ მღვდლები აღსარების თქმისას ყოველწლიურად (**ხორნაული, 2003: 280**). ეს ის პერიოდია როდესაც საფუძველი ეყრება გვარსახელთა გაფორმების ტრადიციას, აღნიშნავს მეცნიერი.

**მახარებელ რომა(?)სძე** რომასძეთია მოხსენიებული ვინმე მახარებელ. ვფიქრობთ, რომა სძე უნდა მომდინარეობდეს რომან (ლათ).“რომაელი“ ფორმისაგან (**ჭუმბურიძე, 1966:162**). მახარებ-ელ ქართველ ტომებს უძველესი პერიოდიდანვე გამოუყენებიათ პირსახელებად ზმნის პირიანი და უპირო ფორმები როგორებიცაა, მაგალითად: მახარე,

მახარა, მახარებელი, აქედან მივიღეთ მიმღეობა მახარობელ, მახარობელი...(ლლონტი, 1967:18).

**სდესდდ ელიასძე** --(სახელი გაურკვეველია), რომელიც ელიასძეა (ბერძ)“ზზიური“, „ზზიანი“, იგივეა ილია. ამ სახელს მოეპოვება სხვაგვარი მნიშვნელობაც: „ღმერთი ჩემი - იელოვა“(ძველი ებრაულის მიხედვით). აქედანაა გვარები: ელიაშვილი, ელიაძე, ელიავა. (ჭუმბურიძე, 1966:145).

**ბატატა ძმა მისი** (იხ. ქვემოთ).

**ფდსდდ ბაინდურისძე** -- ბაინდურა მეტსახელად აქვს დაფიქსირებული ი. ახუაშვილს „იგივე დაბდური, უშნო) შდრ. ბერბიჭა,ლოხი, ტროცია და სხვა. ადამიანის ხასიათს, თვისებას გამოხატავენ გვარები: ამყოლაძე, კეთილაძე, ბაინდურაშვილი . საკ.სახელი ბაინდურ// ბანდურ პატრონი მოიხსენიება 1060 წელს რუისის ეკლესიის ერუშეთის წარწერაში .. „ პატრონსა ბანდურს შ'სდ'ნ ; (+1474). და მათსა ძმასა პატრონსა ქაიხოსროს შ' სდ' ნ (1500);XIII ს. ქართლში იქმნება არაგვისა და ქსნის საერისთავოები. ..არაგვის მესამე ერისთავად ისტორია ბაინდურ-ას ასახელებს. ქართული სახელ ბაინდურა და მისგან ნაწარმოები გვარები ბაინდურაშვილი ისტორიულ წყაროებში ბევრჯერაა დამოწმებული. მაგ. ბაინდურა ნაზირი (არაბ. სამეფო კარის დიდ მოხელეთაგანი აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში). ქართულფუძიანი გვარსახელი ბაინდურაშვილი, წარმომდგარი მეტსახელიდან ბაინდურა (შდრ. ბაინდურ, დანდურ, დონდლო) რუსული გაფორმებით ბაინდუროვი სომხური ეთნოსისათვის მიუკუთვნებიათ. ქართლსა და კახეთში მსგავსი შემთხვევა არაერთია. იგივე ბედი ეწვიათ გვარებს: ლალიძე (ლალიევი), ოლქიაშვილი(ოლქიევი), პავლიაშვილი (პალიანცი), ზაალიშვილი (ზაალიანცი, ზაალოვი). ..... (ახუაშვილი, 1994: 244-245).

**სოსია ცხადაბერისძე** - პირსახელად გვხვდება სოსო , რომელიც პირსახელ- იოსების მოფერებითი ფორმაა ქართულში. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება პირსახელი „იოსებ (ებრ) „გამრავლება“, „მატება“. აქედანაა გვარები: იოსებიძე, იოსებაშვილი და სხვა. მისი მოფერებითი ფორმებია: სოსო, სოსია, სოსიკო (ჭუმბურიძე, 1966: 151). „დროთა ვითარებაში ერთმანეთს ექსოვებოდა წინაპართა სახელები, ცხოველთა, ფრინველთა , სადაურობათა, საქმიანობათა აღმნიშვნელი სიტყვები, ხშირად მეტსახელები და იქმნებოდა ქართული ეპონიმური გვარსახელები. მეცნიერები უწოდებდნენ ისეთ სახელს, რომლის სახელისაგან წარმოდგება ხალხის, ადგილისა და მისთ. სახელწოდება. მაგ. ასეთებია: ცხადა, ძაგანა, ლომსა....(გვ.32) . საკ.სახე. ცხადა (შდრ. ცხადაბერი; ამავე ძირისაა ცხადაია, ცხადაძე,(ტბეთის მატთანე, 61)ცხადაია (ძვ. საქ. IV, 39).“ქ. მოლავს სახლთუხუცესი ბერძენიშვილი ოთარი, აქავ ამისი ყმა გოდერძა ცხადაშვილი(ვახუშტი, 53). ამავე ძირისაა: ცხადაია ცხადაძე, ცხადაშვილი (ახუაშვილი, 1994:601). საინტერესოა სოსიას გვარსახელი თავისი სტრუქტურით. ცხადაბერისძე. შეიძლება ასე დაიშალოს : ცხად-ა-ბერ-ის-ძე. -ა მაწარმოებელი. თხზული ანთროპონიმი ჩანს, ცხადაბერისძე, რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება. ცხად-ა და ბერ-ის-ძე. ბერ-ის-ძე ისედაც მართული მსაზღვრელის და საზღვრულის შეერთებითაა მიღებული. ბერი-ბერა-ზედსართავი სახელია. ე.ი სუბსტანტივი და ადიექტივი. ბერ-ის-ძე მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეერთებითაა მიღებული. ქართულ გვარსახელებში ხშირად მეორდება ელემენტი ბერ. ბერ-ძირია საზოგადო სახელისა, რომელსაც ქართველურ ენებში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ა) ხანდაზმული ხნიერი ადამიანი „ბერი ხანმრავალი კაცი“(საბა). ამავე მნიშვნელობისაა ბებერი, რომელშიც ბერ ძირი გაორკეცებულია (ბერ-ბერ)(შანიძე, 1980: 150). იგივე ძირი გვხვდება ზმნაში დაბერება და თხზულ სახელებშიც: ბერიკაცი, დედაბერი. ბ) გამოხატავს რამდენიმე მნიშვნელობას, რომელთათვის ნიშანდობლივია მამრობით სქესზე მითითება. „ბერი საეკლესიო ძმობის წევრი. ჭანურად იგივე სიტყვა ბერე-ს სახით ნიშნავს შვილს, ბიჭს, ძეს (ჩიქოზავა ,1938:19-20) გ). ბერი საკ. სახელიცაა ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება ზედწოდებით- იოანე

ბერაი (კეკელიძე, 1960, 54). ასევე ეს ძირი საყრდენია საქართველოში მრავალი გვარსახელისა (მაისურაძე, 1979: 79). ი.მაისურაძე ნაშრომში ცალკე გამოყოფს ბერ - კომპონენტური კომპოზიციური საკუთარი სახელების ორ ჯგუფს. **1 ჯგუფში** აერთიანებს სახელებს, რომლებსაც ბერ კომპონენტი მეორე ადგილას უზის: **ცხადაბერი, გოგიბერი, თავბერი, კახაბერი...** და **2.ჯგუფში**, სადაც ბერ-კომპონენტი პირველ ადგილზეა: **ბერიჯანა, ბერკაცა, ბერბიჭა**. მეცნიერის მტკიცებით, ბერ -ძირი თავდაპირველად ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა ფართოდ გავრცელებულიც ჩანს, აღნიშნავს აკად. ი. ჯავახიშვილიც (1950:124-125) და ვაჟს აღნიშნავდა. სწორედ ბერ-ის ეს მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მამაკაცის საკუთარ სახელთა შექმნას წარსულში. რთულფუძიან გვარებში ბერ ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად იქცეოდა. ეს ნიშნავს იმას, რომ **კახაბერი, ცხადაბერი, მიქაბერი** საკუთარ სახელთა წყვილულებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ. აქ მხოლოდ **კახა, ცხადა, მიქა** უნდა ყოფილიყო საკუთარი სახელები, ხოლო ბერი ზოგადი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო დართული, როგორც მსაზღვრელი, როგორც მამრობითი სქესის (ვაჟი, ძე, ბიჭი, ყმა). საკუთარი სახელები, **ცხადა, მიქა, კახა** დამოუკიდებელი საკუთარი სახელის ფუნქციით იყვნენ აღჭურვილნი, როგორც ამაზე მიგვითითებს გვარები: **კახაძე, ცხადაძე, მიქაძე**, ხოლო დროთა ვითარებაში, როცა ბერის მნიშვნელობა შესუსტდა იგი შეეზარდა მარტივ სახელებს და შეიქმნა, მამაკაცის რთულფუძიანი საკუთარი სახელები: **ცხადაბერი, კახაბერი, მიქაბერი**, რომლებიც შემდეგში საფუძვლად ედება გვარსახელებს (მაისურაძე, 1979:79-80). საინტერესოდ მიიჩნევა ივ. ჯავახიშვილის ახსნა, რომელიც **„ქართველების წარმართობაში“** წერს, ბავშვის სახელად რატომ უნდა ყოფილიყო ბერი. ცნობილია, რომ წმინდა გიორგის სახელი წარმართ ქართველებში მთავარ ადგილზე იყო. „წმინდა გიორგისთვის შეთქმულ ბავშვებს მთელ საქართველოში „ბერს“ ეძახდნენ, წმინდა გიორგის მთავარ მსახურსაც ხომ ხევისბერი ერქვა, მაშასადამე, ვისაც წმინდა გიორგის - მთვარის მსახურისა და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული ყველა ბერად იწოდებოდა (ხორნაული, 2003: 312).

**გოგინა სოსიასძე** - გიორგის მოფერებითი (კნინობითი) ფორმებია. ამავე სახელის შემოკლებაა ქართულში დამოუკიდებელ სახელად გავრცელებული **გიო (ჭუმბურიძე, 1966:141)**. გოგ-იჩ-ა- კნინობითი ფორმაა -იჩ- მარტივი, ერთსაფეხურიანი მაწარმოებლითაა გადმოცემული. საინტერესოა, **ალ.ღლონტის** მოსაზრება **გიორგი (მიწისმოქმედი)** პირსახელთან მიმართებით: „მეტსახელები უდევს საფუძვლად ახალი და ძველი აღთქმის ონომასტიკონს. ბერძნულ-ლათინური სამყაროდან შეთვისებული ლექსიკა მარტივად ითარგმნება სხვა ენაზე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი თიკუნის ტიპის სახელებიდან მომდინარებენ. და ამის ნიმუშად გამოდგება სწორედ **გიორგი-პირსახელი (1967:19)**.

**ზოსიმას შვილიშვილი** (ბერძნული) „ცხოვრებისუნარიანი“ (**ჭუმბურიძე, 1966:148**). აქ წარმოდგენილი პირსახელები უმეტესად ერთ, ორ და სამმარცვლიანია. არ უყვარს ქართულ ანთროპონიმას რთული პირსახელები. გვხვდება, მაგრამ იშვიათად. უფრო მეტიც, შეიძლება შემოკლებული ვერსიითაც შეგვხვდეს, **ზოსიმე-ზოსიმეს** ნაცვლად.

**მაცაცა ზარასფასძე** - ქალის პირსახელად გვხვდება **ალ.ღლონტთან (1967:190)**. მისი ამოსავალი ფუძე- **მაცა (იქვ.190)**. უნდა იყოს. რომელიც მოგვცემს მოფერებით ფორმებს როგორებიცაა:**მაცაცა, მაც-აც-ო, მაც-აც-უნ-ა, მაც-აც-ი...** **მაც-აც-ა**, რომელიც თურქ მოხელეს დაუფიქსირებია დავთარში კნინობით-მოფერებითი ფორმაა ქალის პირსახელისა, რომელიც **ზარასფასძეა.ქალის პრსახელის სტრუქტურა გამოირჩევა ორ და სამსაფეხურიანი კნინობით-მოფერებითი მაწარმოებლებით: -აც, -აც-უნ-ა**. მეტად საინტერესო ფორმაა **ზარასფასძე**.

**მახარებლის შვილიშვილი**

**ქერა გოგინა** საინტერესო ფორმითაა წარმოდგენილი **გოგინა**, რომელიც ნიშან-თვისების მიხედვითაა გადმოცემული **ქერა გოგინა**. ვფიქრობთ, **გოგინა** მოხსენიებული ჰყავს თურქ მოხელეს გარეგნობის აღმნიშვნელი **ეპითეტური** სახელით **ქერა (ჯიქია, 1942: 135)**.

**სოფელი სახუდაბელი**- ერთ საარქივო საბუთში ეს სოფელი სოფ. ონღორასთან შეერთებულად ჩანს და ეს სახელი ტრანსკრიბირებულია ასე **Сахудабель**. დღეს არსებული ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით სახუდაბელი სოფელ ონღორასთან ერთად ასპინძის რაიონის ონღორის სასოფლო საბჭოში შედის. 1846 წლის ერთ-ერთ საბუთში ნაჩვენებია სახუდაბელ სოფლის ზუსტი საზღვრები: აღმოსავლეთით კაკოველის მიწები, დასავლეთით სოფ. ონღორა, ჩრდილოეთით ვარნეთის მცხოვრების დავრიმ ლეზგიოლის მიწები, ხოლო სამხრეთით-ახაშენ სოფელი. 1831 წ სახუდაბელი მემამულე ვინმე სტეფანე არლელი[შვილის?] მფლობელობაშია (ჯიქია, 1958: 84).

**სოფელი სახუდაბელი(ექვემდებარება ზემოხსენებულ რაიონს)**, სადაც უცხოვრიათ ადამიანებს შემდეგი პირსახელებით: მაგ:

**ვარძელ ახესამომის ძე** - საკ. სახ. **ვარძელა** (საამილახვრო დავით. 22). **ვარძიელა**( დოკ. 1. 61) [ლლონტის 21]. **ვარძელი (მაისურაძე, 1990: 64)**. **ვარძ.** ძირის შესახებ (იხ. ივ. ჯავახიშვილის საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 164-167). შდრ. **ვარძელაძე, ვარძიაშვილი, ვარძიელი, ვარძუკაშვილი, (წინწყარო) (ახუაშვილი, 1994: 346-347)**. „ -ელ//-ელ-ა ვარძი-ელ-ი (დოკ, 1,61; შდრ.დიალქ. **ვარძ-ელ-ა** (შდრ.თორ-ელ-ი (თორელა) , თვარ-ელ-ა, ხათუთ-ელ-ა(ლლონტი, 1967:16). **ვარძელა** კნინობითი ფორმა ჩანს (**ვარძ-ელ-ა**), „**ვარძ-ი** რომ საკუთარი სახელი ყოფილა, ამაზე მიგვითითებს მისი დერივატებიც: **ვარძ-უკ-ა** (შემონახული **ვარძუკაშვილში**), **ვარძია** (ვარძიაშვილში) და რთული ფუძე **ვარძიგულა** (**ვარძიგულაშვილი**), მაგრამ იგივე ფუძე **სადაურობის მაჩვენებელ** სიტყვადაც შეგვეძლო მიგვეჩნია: **ვარძიელა(=ვარძის მკვიდრი)**, მით უფრო, რომ არსებობს გვარსახელი **ვარძიელიც**. მეცნიერი აქვე მსჯელობს, -ელ ფორმანტის ორფუნქციანობაზე (**სადაურობის გარდა კნინობითობასაც გამოხატავს**) (**მაისურაძე, 1979:40**).

**ვარდია მინას ძე** - საკ. სახელი **ვარდია** ქალის სახელად იხსენიებს **ილ. მაისურაძე (1990:63)**. როგორც ქალის, ასევე ვაჟის სახელად აქვს დასახელებული **ი. ახუაშვილს(1994:344)**. ვახუშტის მიხედვით, გომარეთის ბატონის დედოფლისა, ბოგანო **ვარდია** მოლაშქრე“ (109). შდრ გვარები :**ვარდანისძე, ვარდიძე, ვარდოშვილი, ვარდანაშვილი, ვარდუაშვილი**). ქართველების მიერ გრიგორიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ ზოგი სომხად იწერება და სახელი **ვარდუა ვართანად**, ხოლო ამ ძირიდან ნაწარმოები გვარი **ვართანაშვილით** იცვლება (იქვე. 345). რაც შეეხება **ვარდიას** მამის სახელს **მინას ძე-ს** , სამცხეში ტოპონიმადაც გვხვდება **მინაძე** ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალი და **პირსახელის** ფუნქციითაცაა წარმოდგენილი **მინასა**. საიდანაც იწარმოება შემდეგში გვარსახელი : **მინაძე, მინასაშვილი, მინასაშვილი..** „წარმოშობით მინასა ლათ-ბერძ. =“**სამთვარეულო**“, „**მთვარე**“. რუსულ. „**Месячник**“. ზოგ მკვლევარს **სემიტურ სიტყვად** მიაჩნია, მაგრამ არ გვხვდება ებრაულ-არაბულში. საფიქრებელია, რომ ლათინური სიტყვა **მენესე**-დან მომდინარეობს და ნიშნავს „**საზარელს**“. **მინასა** შუასაუკუნეებიდან მომდინარეობს და დღესაც იხმარება (უპირატესად სომხეთში), ქართულში გვაქვს მისი სინონიმი **მანასა (ახუაშვილი, 2003: 456)**. საინტერესოა, კიდევ ის ფაქტი, რომ „**ფერეიდნელი გურჯების**“ ერთ-ერთ სქოლიოში მისი ავტორი ზურაბ შარაშენიძე აღნიშნავს, რომ ლადო აღნიაშვილს, ვინც პირველად ეწვია **ფერეიდნელ** ქართველებს **ფერეიდანს**, 1894 წელს-გ.ხ.) საგანგებოდ შეუკრებია **ფერეიდნელ** ქართველთა ზოგიერთი გვარი : აღიანნი, ბათუანნი, ელარზაანი, **ვარდიაანი...** ადამიანები აქ მოხსენიებულნი არიან ოჯახის სახელებით (**ახუაშვილი, 2003:341**).

**ნიკოლოზ ძმა მისი-** (ბერძ). „გამარჯვებული“, „მძლეველი“ ხალხისა.

**დავით სულიას ძე** - საინტერესო ფორმაა **სულია**, რომელიც **სულას** მოფერებით ფორმად უნდა მივიჩნიოთ **სულიკოსთან** ერთად. **სულა** (ქართ.) სახელია (**ჭუმბურიძე, 1966:165**). აქედან იწარმოება გვარსახელები: **სულიაშვილი, სულავა...**

**ელია ძმა მისი**

**ზურაბ გიორგის ძე** -- „წითლად მოელვარე“ (მაგალითად, ლალი ან ღვინო; სიტყვასიტყვით: „წითელი წყალი“) მისი მოფერებითი ფორმებია: **ზურა, ზურია, ზურიკო**. ამ სახელისაგან მოდის გვარები **ზურაბაშვილი, ზურაბიშვილი, ზურაბიანი**, მისი ფონეტიკური სახეცვლილი ფორმაა **სურამ(შდრ. სურამი)** (**ჭუმბურიძე, 1966:149**).

**დავითი** (ებრაული)“საყვარელი“ ქართულში ერთ-ერთი გავრცელებული სახელია. ამას ადასტურებს მისგან ნაწარმოები გვარების სიმრავლეც: **დავითაძე, დავითიძე, დავითაშვილი, დავითიანი, დავითური, დათუკიშვილი, დათუნაშვილი, დათა, დათო, დათია, დათუა, დათიკო დათუკა, დათუნა**--მოფერებით (კნინობით ფორმებად ითვლება, მაგრამ ზოგ მათგანს შეიძლება კავშირი უნდა ჰქონდეს წარმართობისდროინდელ სახელთან, რომელიც **დათ-ვისაგან** ჩანს წარმოებული (**დათუა, დათუნა, შდრ. მგელა-გელა, ფოცხვერა, ლომა** და სხვა. ზოგი შეიძლება ხურიტული სახელიც იყოს წარმოშობით (**ჭუმბურიძე, 1966: 142**).

**ხერთვისი ციხის რაბათი** ექვემდებარება ზემოხსენებულ რაიონს, სადაც უცხოვრიათ ადამიანებს შემდეგი პირსახელებით: მაგ.

**ველ** □ **ცაბდულ-ლაპისძე**- საკ.სახ. **ველია (1712) ველუაშვილი/ველიაშვილი** აქარის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში, ქ. წრაურთს, 1721 წ. ერიჯანა ველაშვილი, ველიაშვილის ობოლი“ (ვახუშტი, 159).“აქავ ქ. წობას ველუაშვილის ნასყიდი ...1712 წ. (წობა, წრაურთი) (**ახუაშვილი, 1994: 348**). **ველი**, როგორც ჩანს, აბდულლაპისძეა **რიდვან-თან** ერთად.

**რიდვან ცაბდულ-ლაპისძე** - აბდულლაპისძე ყოფილა ვინმე **რიდვანი**. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები ადრე შვილებს ისეთ სახელებს არქმევდნენ, რომელშიც დიდ მისტიკურ ძალას ხედავდნენ. ეცდებოდნენ, შეერჩიათ ისეთი სახელი, თუ რა სურვილი ჰქონდათ შვილის მიმართ-სახელის ძალით ჩაენერგათ ის თვისება, ბედი და კარგი მომავალი, რასაც იგი აღნიშნავდა. იყო იმისი მცდელობაც, რომ შერჩენოდათ შვილი მისტიკური ძალის დახმარებით და ამიტომ ბავშვებს არქმევდნენ ისეთ სახელებს მაგ. **გამეზარდას, გაიხარას, ბერდიას**, ან ღვთაების სახელებს; **ღვთისოს, გიორგის..ძაღლიას, დათვიას**, ან ურჯულოს სახელს, სიკვდილს გზა აერევანო. მაგ. **აბდულა, მირზა, ფაშა...**ე.ი სიკვდილს მიკარება რომ შეზიზღებოდა (**ხორნაული, 2003:229**).

**ამირან ფედგვ-სძე** -სვანური (**ამირ, მირიმ**) უძველესი წარმართული ქართული ეპოსის „**ამირანიანის**“ მთავარი გმირი, დალისა და მონადირე დარეჯელანის შვილი. ქართული ხალხური ეპოსის გმირის სახელია, რომელსაც მნიშვნელობის დამაჯერებელი ახსნა არ მოეპოვება. მისგან ნაწარმოები გვარებია: **ამირანაშვილი, ამირანიძე** (**ჭუმბურიძე, 1966: 321**).

**შელალა ძე მისი** - ალ. ღლონტთან გვხვდება მამაკაცის პირსახელად **შელა, შელაი** (ხევს. გერგეტ). (**ღლონტი, 1967:142**).**შელ-ალ-ა** კნინობით-მოფერებითი წარმოება ჩანს. აქედან, შესაძლოა, მიგველო გვარსახელი **შელია**.

**სარგის ძმა მისი (ქართ)** ადრეული საუკუნეებიდანაა ცნობილი საქართველოში ეს პირსახელი(პ.ინგოროყვა, სვან. 2. 50). **სარგის თმოგველი**. ქართველებს ჰქონდათ გვარი **სარგისაშვილი**, ბარათაანთ გაყრის წიგნით (1536) დიდმაშენს **სარგისასშვილი** წილად ხვდა იოთამ გიორგისშვილს (ბარათაანთ გაყრის წიგნი 1536 წლის, საისტორიო მოამბე, წიგნი 1, 1924, გვ. 184). მოგვიანებით, სახელი **სარგის -სარქისათ**, ხოლო **სარგისაშვილი** **სარქისაშვილად** ზოგჯერ კი **სარქისოვად** გადაკეთდა (**ახუაშვილი, 1994: 75**).

**დიაკონ (?მოსეს ძე** -- **დიაკონ** -საეკლესიო პირის **ხელობა-მოსაქმეობის** აღმნიშვნელი სახელია, რომელიც **მოსეს ძეა**. ქართული ანთროპონიმისათვის უცხო არაა.

ადამიანი შეიძლება სახელდებულ იქნას, სწორედ თავისი პროფესიის მიხედვით. აქაც სწორედ ასეა: **დიაკონი** ღვთისმსახური უნდა ყოფილიყო და აქედან შეერქვა პირსახელად. საიდანაც შემდეგში მიიღება გვარსახელები: **დიაკონაშვილი, დიაკონოვი...**

**ხოსიკ დავითან(?)ისძე**- მამაკაცის პირსახელად გვხვდება ისტ. დოკ. 1. 84. ხოსიკი. თუმ. მაკალ; 163; ხოსიკა დოკ.1. 431 (**ღლონტი, 1967:157**).

**ყუბად ჯემალი(?)ისძე**- **ყუბარ-ი** გვხვდება (გურ. იმერ. ოკრიბ.) **პატარა ქვევრი(ს.ჟღ.)**; საზოგადოდ **პატარა ქვევრი**, 2-6 ფუთის ტევადობისა(**პ.ჯაჯან., X. მალავ**) **ჯემალ** გვხვდება მამაკაცის პირსახელად ალ ღლონტთან( კოლხ.34, ნახუნაო) [**1967: 162**]. **ზ. ჭუმბურიძესთან** მოხსენიებულია როგორც არაბული წარმოშობის სახელი და ნიშნავს „**სილამაზეს (1966:171)**“.

**გაბრიელ ძე მისი( ებრ)**—„**კაცი ღვთისა**“, **სადვთო მეომარი**“, „ღვთის მცველი“(სიმტკიცე)“.მისი შემოკლებული ფორმაა ქართულში **გაბო**. აქედან უნდა მომდინარეობდეს გვარები **გაბაშვილი, გაბოძე.. (ჭუმბურიძე, 1966:139)**.

**პაპუ გრიგოლისძე** -საფიქრებელია, რომ პირსახელი- **პაპუ** ნაწარმოებია საკ.სახელიდან **პაპუა**, რომელიც ი. ახუაშვილთნაც გვხვდება : „ნ.სახლთუხუცესი მუხრანბატონის ბაგრატის ძე, 1651 (სიგელი მცხეთისა №223. წიგნ. ქრონ. II. 466);**პაპ-უა** ყანჩაველი [იქვე, 719].; **პაპუა** არაგვის ერისთავი,, **პაპუა** ერისთავი, ვამიყის ძმისწული,**პაპუა** ორბელიანი[ქრონ.III,782]. **პაპუა** ნაწარმოებია საკ.სახელიდან **პაპა(ერეკლე II-სა და დარეჯან დედოფლის სიგელი, 1768 წ. 13 დეკემბერი (საქ. სიძგ. I, 13)**. ამავე ძირისაა: **პაპავა, პაპავაძე, პაპალაშვილი...(ახუაშვილი, 1994: 497-498)**. **პაპუ** შეიძლება იყოს **პაპ-უნ-ა -ს** ვარიანტიც. ქართული წარმოშობის სახელია და ნიშნავს „**პაპისა**“ (**ჭუმბურიძე, 1966:161**). ამავე ფუძიდან იწარმოება შემდეგი პირსახელები მამაკაცის: **პაპიკო,პაპია, პაპ-უნ-ელ-ა, პაპ-უკ-ა, პაპნ-ია ,პაპო, პაპ-ულ-ა, პაპ-უნ-ელ-ა, პაპ-უნ-ი...პაპ-უჩ-ა,პაპ-უჩ-ელ-ა....**

**მელიქა ძმა მისი-** საკუთარ სახელადქცეული თანამდებობის ტერმინი **მელიქი** (კუთხის, სოფლის, ქალაქის მართველი, განმგებელი) (ქეგლ). არაბული წარმოშობის სახელია და **მფლობელს(მეფე, მონარქი)** ნიშნავს ისლამამდე არაბულ სახელმწიფოთა განმგებელი. ისლამის აღმოცენების შემდეგ ტერმინი **მალიქს** არაბები იყენებდნენ არამუსლიმანი განმგებლის მიმართ(მონარქის მნიშვნელობით). XIII-XVIII სს ამიერკავკასიაში ტერმინი „**მელიქი**“ფეოდალის ტიტულის მნიშვნელობით გამოიყენება. მომდევნო პერიოდში „**სოფლის მოხელეს**“, **მამასახლისს**, აღნიშნავდა, რომელიც შაჰზე იყო დამოკიდებული. **მელიქი** ქალაქის მოხელესაც ეწოდებოდა.იგი იხსენიება ქალაქ თბილისის სხვა მოხელეებთან ერთად, მოურავთან და მამასახლისთან ერთად. იგი განაგებდა ვაჭრობის საკითხებსა და სასამართლო საქმის გარჩევაში (ქ.ს.ე. ტ. 6, 558). **მელიქ, მელქო** გვხვდება თურქეთში **მალიქ//მელიქ** შაჰი (1072-1092). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით ქართლში დიდებულები არიან :არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი,ამილახორი,, ამათზე ნაკლებია **მელიქი (ახუაშვილი, 1994:444)**.

**მაზანა გოგორისძე-** **მაზანა** საკ.სახელად მოიხსენიება **მაზია, მაზმი, მაზიტა, მაზიმატი, მაზიმატები** საგვარეულო წოდება (გოზალიშვილი, მითრიდატე, 199, 200)(**ახუაშვილი, 1994: 420**)“. **მაზანა -ბალები** მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე, დინების მიმართულებით, თინარის გაგრძელება არის **მაზანა**, რომელიც 20 ჰექტარი ფართობი იქნება. სახელს ადგილობრივი მოსახლეობა უკავშირებს გვარს **მაზანაშვილს**. როგორც **თინარმა** , ასევე **მაზანაშვილმა** იაფად იყიდა ძვირად გაყიდა ეს ადგილები, ამიტომ შეერქვა სახელი. **მაზანას** მაზანების სახითაც მოიხსენიებენ **მაზანები** ბალებია ვალისა. (**ბერიძე, 2020: 88-89**). პისახელიდან ონიმის სახელწოდება გადადის ტოპონიმის აღმნიშვნელად და საქმე გვაქვს მეტონიმისთან.

**ზაქარია სდფდ(?)ისძე** ებრაული წარმოშობის სახელია „**ღვთის მიერ დაუვიწყარი**“ მეორეგვარი ახსნით: „მსახური ღვთისა“ მისი მოფერებითი ფორმებია ქართულში **ზაქრო**,

შაქრო,შაქარა. ამათგან ნაწარმოები გვარებია: ზაქარიაძე, ზაქარაძე, შაქარაშვილი (ჭუმბურიძე, 1966:148).

გოგი ბაჭა(?)სძე --- გოგი, გოგიტა, გოგიჩა, გოგია -გიორგის მოფერებითი ფორმებია. (ჭუმბურიძე, 1966: 141).მამაკაცის პირსახელად გვხვდება ბაჭა (საჯავახო. სამტრედიის რ.) (დლონტი, 1967: 55). ამავე ფუძიდან უნდა იყოს ნაწარმოები- ბაჭუა ქართული სახელია. ზუსტი მნიშვნელობა არ აქვს, დაახლოებით უდრის „პატარას“, „ბიჭუნას“ (შდრ. ბაჭია) (ჭუმბურიძე, 1966: 137). მეტსახელადაც გვხვდება ბაჭო.

გრიგორ ძმა მისი - საკ. სახელ. მამაკაცის. გრიგორ, საიდანაც იწარმოება გრიგოლ(ბერძ). „მღვიძარე“, „ფხიზელი“. აქედანაა ნაწარმოები გვარები: გრიგოლია, გრიგოლავა,...მისი კნინობითი ფორმებია: გიგა, გიგი, გიგლა, გიგოლი, გიგოლა (ახუაშვილი, 1194:309).

სარგის მელიქი (იხ.ზემოთ)

შაჭრუხ ყარუყა(?)სძე სავარაუდოდ, საკ.სახ. მოხსენიებულ შაჭრუხ , საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა წარმოების სხელთან , რომელთაგან პირველი მომდინარეობს სპარსულიდან შაჭი სპ. ირანში(სპარსეთის)მეფე (ქეგლ, 471). ხოლო მეორე კი საკუთარი სახელია რუხა//რუხია, რომელიც შეიძლება შეერქვა ადამიანს გარეგნული ნიშნის იხედვით. აქედან კი მივიღეთ გვარები: რუხაძე. „კონტუათი(წულუკიდის რაიონი), ქვიტირი(წყალტუბოს რაიონი.) (მაისურაძე, 1990:139). საინტერესოა, სტრუქტურის თვალსაზრისით ყარუყას-ძე. ვფიქრობთ, საკ.სახ.ყარუყა, ყარუა, ყარა უნდა იყოს დაკავშირებული. ამოსავალი ძირი მაინც ყარაა -საკ.სახ. მამაკაცისა და აქედან იწარმოება მისი მოფერებითი ფორმები, რომელიც ჩამოვთვალეთ.

ჰანეს ძმა მისი - გვხვდება ალ დლონტის სიტყვის კონაში (1984:788). (თუმ) აჰა, წოგ. ჰანე. აბა აჰა (უთურგ).

ყანდუ ვილალის ძე--- მამაკაცის პირსახელად ვხვდებით ყანდუა//ყანდია (საამილახვროს დავთ. 8. საქ. სიძე. II. 405) (დლონტი, 1967: 138). კნინობით-მოფერებით ფორმებად ჩაითვლება.

სფდსდ ძმა მისი (გაურკვეველია)

აზარა ძმა მისი -საკ. სახ. აზარა ,სპარსული წარმოშობისაა და ნიშნავს „ცეცხლს“, „სტუმარს“ შდრ. ცეცხლაძე, „ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა ქ. ზას. 1721 წ. ბერუა აზარაშვილი [ვახუშტი, 137]. ამავე ძირისაა: აზარიაშვილი (ახუაშვილი, 1994: 199).

ხაჩატურ ჰაირაპეტისძე- ბარათაანთ გაყრის წიგნში (1523 წ) მოხსენიებულია გვარსახელად ხეჩატურა (1994:642). რომელიც ყოფილა ჰაირაპეტისძე.

მურვან ძმა მისი- მურვან ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს აღმოსავლური სახელისა მურვან (ჭუმბურიძე, 1966:158).

ბატატა ხაჩატურისძე

ბაგრატის შვილიშვილი- ბატატა ხაჩატურისძე ბაგრატის შვილიშვილია, როგორც ჩანს, წარმოშობით უკავშირებენ ძველ სპარსულ სახელს ბაგადატა „ღვთის ბოძებული“, „ღვთის წყალობა“, არსებობს სხვა ვერსიაც, თითქოს პირსახელი ბაგრატი ქართული წარმოშობისაა, მიღებული ზაქარასაგან ტ სუფიქსის დართვით(შდრ. სუმ-ბა-ტი-ლიპარი-ტი-ი; გვარები:ჯიბუ-ტი-ი, ჟღენ-ტი-ი [ჭუმბურიძე 1966: 324]. ბაგრატაშვილები ყოფილან ყმა-გლეხები, ხოლო ბაგრატიშვილები კი-აზნაურები (ახუაშვილი, 1994:240-241).

მიტიჩ ძმა მისი - მამაკაცის პირსახელადაა წარმოდგენილი მიტიჩაი (დოკ.1. 36.) მიტოს კნინობითი ფორმაა, როგორც ჩანს.

ზამუკა ძე მისი -საკ.სახ. ზამუკა//სამუკა გვხვდება 1873წ.იხ. ახალკაციშვილი ზამუკა ( sic) თოფით (საამილახვროს დავთარი, მე-17 ს-ის მეორე ნახევრისა (კოდა). აქედან მომდინარეობს გვარსახელი ზამუკაშვილი (ახუაშვილი, 1994: 352).

ყუბად ყურას ძე სარგის ძე მისი--- საინტერესო პირსახელია ყუბადა, რომელიც ყურასძეა საკუთარი სახელი ყურა, ამავე ძირისაა ყურავა, ყურაშიძე, ყურმაშვილი, ყურულაშვილი (მაისურაძე, 1967:187).

სფსფდს -ისძე (გაურკვეველია)

აფდსფდ- ძმა მისი (გაურკვეველი)

პაპუ ადსდფდ-ისძე

ობალა(?)ფდფდ-ისძე--- საკ.სახ. ობოლა უნდა იყოს ამოსავალი ფორმა ობალა-სი(დოკ II.181);ობოლა (მთიულეთ. ფასანაური; თიან. ღულელები; გვარში ობოლაძე(აღ.ღლ.;172). ამავე ძირისაა: ობოლიშვილი, ობლიაშვილი, ობლაძე, ობოლაძე (მაისურაძე, 1967:126) (ახუაშვილი,1994:483).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მშობლებს რომელთაც შვილები ეხოცებოდათ ხშირად ახალდაბადებულისათვის ისეთი სახელი უნდა დაერქმიათ, რომელსაც ნეგატიური შინაარსი ექნებოდა. და სწორედ ასეთ სახელებად მიიჩნევენ ობოლა, ღარიბა, გლახუნა, საძაგელა,ნასყიდა....(ახუაშვილი, 1994: 23).

ფდსფდ ძმა მისი (გაურკვეველია)

უმიკ[ა] ხანდამა(?)სძე--- მამაკაცის პირსახელებად გვხვდება უმიკა//უმიკი (საამილახვრო დავთარი, 9) (ღლონტი,1967:128). შეიძლება დაიშალოს ასე: უმ-ეკ-ა, უმ-ეკ-ი.

ასვატურ ძმა მისი ( იხ.ზემოთ)

ნავსოს(?) შვილიშვილი -მამაკაცის პირსახელად გვხვდება ალ.ღლონტთან ნავსია (კარალ, გორის რ-ნი)(ღლონტი, 1967:108). რომელიც, ვფიქრობთ, კნინობითი ფორმაა ნავსოს.

გოგია ჰათელ(?)ასძე- გოგია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგის კნინობითი ფორმაა. საინტერესოა ,მამისახელის ფორმა- ჰათელ(?)ასძე.

ხოსიკ ძმა მისი (იხ. ზემოთ)

როსაფა ჰგფჰგფჰგ-სძე -საკ.სახელი როსაბ(1721)(საქ.სიძ.III, 154);როსებ, როსეფ(დოკ;1,303)(ახუაშვილი, 1994: 508). როსაფა, ვფიქრობთ,ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს როსაბ ფორმისა. კნინობით ფორმად შესაძლოა მივიჩნიოთ როსია. როსაბ-როსაფ-როსია.

ვარძელ ძე მისი

ფდსფდსფდ -ისძე

ყუზან ძმა მისი -სავ. საკ. სახ. ყაზა, ყაზუა, შდრ გვარი ყაზინაშვილი, ყაზუაშვილი..“აქვე ვაშლოვანს დემეტრე ემიკალაბაშის ყმა 1781წ. გოგია ყუზანაშვილი (ჯავახ. საქ.ეკ.ისტ.ძეგლ.I. 167).

ვარძელ ყუზანის ძე

ელიაზარ ძმა მისი(ებრ). „ღვთის წყალობა“ „ღვთის შემწეობა“ სიტყვასიტყვით: „ღმერთია შემწე“ამ ფორმით ქართულში ნაკლებად გვხვდება, მაგრამ გავრცელებულია მისგან მიღებული სახელი ლაზარე, რომლის მეშვეობით ნაწარმოებია გვარიც--ლაზარაშვილი,ლაზარია, ლაზარიაშვილი (ახუაშვილი, 1994: 336).

ფდსდფდ-ისძე (გაურკვეველია)

დსდსფდ-ისძე (გაურკვეველია)

ვარაზგულ ძე მისი -დროთა ვითარებაში ერთმანეთს ექსოვებოდა წინაპართა სახელები, ცხოველთა, ფრინველთა, სადაურობათა საქმიანობათა აღმნიშვნელი სიტყვები, ხშირად მეტსახელები და იქმნება დიდი ჯგუფები გვარსახელებისა, კერძოდ, ეპონიმური გვარსახელებისა. ბევრი დღეს ხმარებიდან გამოსული ანთროპონიმი შემოგვინახა. მათ შორისაა: ვარძიგულა, ვარძუკა, მახარა, მამულა,ძამა, ვარდია...შესაბამისი გვარსახელებია: ვარდიაშვილი, ვარძიგულაშვილი, მახარაშვილი (ახუაშვილი, 1994:32-33). თხზული წარმოშობისაა ვარაზგულ პირსახელი ...ორკომპონენტიანი თხზული ანთროპონიმია,

რომელიც ხშირად იჩენს თავს დავთარში. **გულ-** კომპონენტის სახელები ხშირად გვხვდება პირსახელთა ნუსხაში: **ემირგულ, ვარაზგულ...**

**პაპუა მაზმანისძე** - პაპუა მიღებული ჩანს, პაპა სიტყვისაგან -უა სუფიქსის დართვით,სადაც -უა ბოლოსართი კნინობითის მაწარმოებელია.

**გულო ძმა მისი** - საკ.სახ. **გულა** შეიძლება ერქვას კაცსაც და ქალსაც. დასახლებული პირსახელი-**გულო** აქ მამაკაცისაა, რომელიც **პაპუა მაზმანისძის ძმაა**. საკ.სახ.გვხვდება **გულია** ახუაშვილთანაც შდრ: **გულადე, გულია, გულისაშვილი, გულიტაშვილი, გულუა, გულუაშვილი, გულუხია (1994: 312).** (ჯიქია, 1942: 171-172).

**სოფელი რუსთავი (ჯიქია, 1942: 141).**

**ფდსფდ ბაინდურისძე**-სახელი გარკვეულია, მაგრამ მამისახელი -**ბაინდურისძე ელიაზარ იასალასძე** -ელიაზარი ყოფილა **იასალასძე**. **იასალასძე** საკუთარი სახელი ჩანს , რომელიც მამის სახელით იხსენიება

**ნათა ძმა მისი**- საინტერესო პირსახელი - **ნათა**, რომელიც გვხვდება **ლლონტან(1967: 109)**.ასეთი სახელებით-**ნათა** (პ.ინგოროყვა, სვან, 2,122). აქედან შესაძლოა იწარმოს შემდეგი სახელები: **ნათან, ნათანაელ, ნათანიელ, ნათელისძე, ნათილა....**

**ნანუჩა ბულადადარისძე**- **ნანუჩა** გვხვდება პირსახელად გ.ლეონიძესთან, ასე იხსენიებს ალ.ლლონტი (1967:109)“. ამოსავალი ფორმა, ვფიქრობთ,**ნანი**, საიდანაც იწარმოება კნინობით-მოფერებითი ფორმები : **ნანო,ნანუჩა ,ნანია,ნანიტა, ნანილა**. როგორც ჩანს, **ნანუჩა** ბულადადარისძეა. **ბულადადარისძე**- თხზული, კომპოზიტური სახელი ჩანს. დასახლებულ პირსახელს იმოწმებს ალ.ლლონტიც (1967: 61). **ბულაირ** ფორმით(პ.ინგოროყ., სვან. 2. 15 ბულარ, იქვე 21) . სავარაუდო პირსახელია **ბულაირ**. **ბულარ** (იქვე. 21), **ბულარი** (საბა, 46). „ქ საგინაშვილის როსტომის ყმა ბოგვს, 1721 წ **ბულადადარაშვილი** გულია (ვახუშტი, 152) (**ახუაშვილი, 1994:281**).

**პავლია ძმა მისი**

**ნანუჩა გიორგისძე**

„**გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში**“ წარმოდგენილი სახელები საინტერესო სურათს გვიჩვენებს წარმოების თვალსაზრისით. მაწარმოებელი აფიქსებიდან ცალკე გამოსაყოფია შემდეგი ფორმანტები:

-**ა სუფიქსი** გვხვდება ადამიანის აღმნიშვნელ საკუთარ სახელებშიც, საზოგადო სახელებთან ერთად . იგი ერთვის ფუძეს, რომელიც თავდება თანხმოვნით ან **ო, უ** ხმოვნებით. მაგრამ თუ ფუძე თავდება **ა-**თი, მაშინ მაწარმოებელია **-ია** : და-**ია**, მამ-**ია**... აღნიშნავს, ავ. შანიძე (1980: 120). **-ა სუფიქსი** მაკნინებელია და საკუთარ სახელთა მოფერებით-კნინობით ფორმებსაც აწარმოებს. დავთარში ასეთი პირსახელებია:**აზარა, ბაჭა, რომა, ნათა, მელიქა, ნოდარა, მახარა, ყარუყა,ნასყიდა,ობალა, ქერა...** რაც შეეხება ქვემოთ ჩამოთვლილ სახელებს, ვფიქრობთ, ამ სახელებში **-ია სუფიქსი** მაკნინებელი სუფიქსია: **ბადრ-ია, ღვინია, პავლია, გულია, ზაქარია, ელია, ვარდია, სოსია....** ალ.ლლონტი აღნიშნავს, რომ **სუფიქსებით** : **-უა, -ია, -ეი, -უკ-ა, -იკ-ა, -იკ-ო** უპირატესად საკუთარი სახელების მოფერებით-კნინობითი ფორმები იწარმოება (1967:17).

-**იკ სუფიქსი** გვხვდება **ო** ხმოვანდართული. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, წოდებითი ბრუნვის ნიშანი უნდა ყოფილიყო საზოგადო სახელებშიც, მაგრამ შემდეგში ფუძეს შეეზარდა. ახლა ის გვხვდება პირსახელებში **დათიკო, სოსიკო....** (შანიძე 1980:121), იშვიათად საზოგადო სახელებშიც. მაგრამ დავთრის მიხედვით, უფრო ხშირად **-იკ** მაწარმოებელი წარმოდგენილია ა ხმოვანდართვით. ასეთი სახელებია: **უმ-იკ-ა, ხოს-იკ-ა, კვირ-იკ-ა.**

-**უკ სუფიქსს**, აკაკი შანიძის აზრით, რაჭული დიალექტი იყენებს ხშირად. უფრო მეტიც, შეიძლება განივრცოს ა ხმოვნითაც. **უკ-ა**. გვხვდება საკუთარ სახელებშიც **ან-უკ-ა,**

მამუ-უკ-ა, ზამ-უკ-ა. ასეთ პირსახელებს ალ.ლლონტი თვლის კნინობით-მორებით ფორმებად (1967:17).

-უნ-ა მაწარმოებელი რთულ მაწარმოებლად ითვლება აკ. შანიძესთან (1980:122). დავთარში მამაკაცის პირსახელად გვხვდება პაპ-უნ-ა.

-იჩ- უჩ//უჩა - მაწარმოებლებით წარმოდგენილი სახელებიც გვხვდება პირსახელებში, როგორებიცაა: ნანუჩა, გოგიჩა... და ა.შ.

-ატ მაწარმოებლიანი სახელებიც გვხვდება დავთარში, როგორებიცაა: ბატ-ატ-ა, ნან-იტ-ა... ყურადსაღებია, არაქართული წარმოების პირსახელებიც. მაგალითად, ასვატურ, ხაჩატურ ჰაირაპეტისძე... და ა.შ.

რაც შეეხება პირსახელთა სემანტიკას საკმაოდ მრავალფეროვანია დავთრის მიხედვით, რომელშიც ადამიანები სწორედ ამ ნიშნით არიან სახელდებულნი, რაც ხელეწიფებათ. მაგ. დიაკონ (მოსეს ძე), მელიქა, რომელთაც ხერთვისის ციხის რაბათში უცხოვრიათ. ხშირად გვხვდება მეტსახელებით მოხსენიებული პიროვნებები: მაგ. სოფელ ონღორაში უცხოვრიათ ზაინდურასძეს, რომლის სახელიც გაურკვეველია, გვხვდება ქერა გოგიჩა, ხოლო იდუმლის მკვიდრი ყოფილა, ვინმე, ბადუჩა კოჭლას ძე. დავთარში წარმოდგენილი პირსახელები სხვადასხვა წარმოშობისაა. ქართული, არაბული, სპარსული, ლათინური, რუსული, თურქული, ბერძნული, ებრაული და სომხური.. ბუნებრივია, ქართველ ტომებს ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ეთნოსთან და გასაკვირი არაა, რომ სამცხეში მცხოვრები ადამიანების პირსახელთა სემანტიკა მრავალფეროვანია როგორც სტრუქტურულად, ასევე სემანტიკურადაც. ბევრია ისეთი სახელებიც, რომელთა შინაარსი ბუნდოვანია, ჩვენი მოსაზრებით, ასეთებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, მაგ. უთანმაზ და მაცაცა ზარასფასძე რომელთაც მლაშისხევში უცხოვრიათ. დავთარში გვხვდება თხზული, რთული წარმომავლობის პირსახელებიც, რომელთაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო. სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიგებთ, რომ მსგავსი ტიპის პირსახელები გვიანდელი წარმომავლობისა ჩანს. ასეთებად წარმოგიდგენთ, მაგ: სოსია ცხადაბერისძეს, რომელსაც ონღორაში უცხოვრია, შაჰრუხ ყარუყას ძე ხერთვისის რაბათის მკვიდრია. აქვე, გვხვდება ემირგულ ძმა მისი და ვარაზგულ ძე მისი. სოფელ რუსთავის მკვიდრი ყოფილა ნანუჩა ბულადარისძე. მოხსენიებული პიროვნებების პირსახელები კომპოზიციური სახელებია.

**დასკვნა.** ამრიგად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ დავთარში პირსახელები გვხვდება ძირეული, წარმოქმნილი და თხზული, როგორც ქართული, ასევე უცხოური (თურქული, ებრაული, ლათინური, ბერძნული, სპარსული, არაბული) წარმომავლობის. ადამიანის აღმნიშვნელი პირსახელებიდან, რომელიც თურქ მოხელეს დაუფიქსირებია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ საწარმოქმნო ელემენტებიდან ყველაზე პროდუქტულია -ა, -ურ//ულ, -ულა, -ელ//ელა, -ია, -უა, -იკ-ა. -უკ-ა, -იკ-ო, -უჩ//უჩა, -ატ-, -უტ-, აც-, -უც-, -იჩ-.. მაწარმოებლები.

სტრუქტურულად პირსახელები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაწარმოებელთა სიუხვით გამოირჩევა. რაც შეეხება პირსახელთა სემანტიკას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“, ძირითადად წარმოდგენილია ხელობა-მოსაქმეობის, ფიზიკური აღნაგობის, წარმომავლობის, მსგავსების, პიროვნული ხასიათის, მიხედვით. დავთრის პირსახელთა ნუსხაში ძირითადად კანონიკური სახელებია დომინანტი, რა თქმა უნდა, გვხვდება უცხოური, წარმართული და არქაულიც, მაგრამ ნაკლებად. ანალიზის სააფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სამცხეში მცხოვრებთა ანთროპონიმია ძირითადად ქართულია, გარკვეულ ნაწილს სახელებისას სხვადასხვა წარმომავლობა აქვს თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით, რომელთაც უამრავ გვარსახელს დაუდეს საფუძველი, საკმაოდ მრავალფეროვანსა და საინტერესოს. თანამედროვეობასთან მიმართებით, მაშინდელი

ანთროპონიმია წამდვილად სახეცვლილია, მაგრამ გვხვდება მსგავსი პირსახელებიც, რომლებიც დღესაც აქტუალობას არ კარგავს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ახუაშვილი, ი. (1994). *ქართული გვარ-სახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის*. I. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ბერიძე, მ. (2020). *ერთი სოფლის ტოპონიმია 3. ვალის ტოპონიმია*. ახალციხე: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- თაყაიშვილი, ე. (1949). *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ*. თბილისი.
- კეკელიძე, ვ. (1960). *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. 1. თბილისი.
- კობაიძე, ლ. (2015). ფოცხოვის ხეობის პირსახელთა სტრუქტურა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. *ონომასტიკური კრებული*. ახალციხე: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მაისურაძე, ი. (1990). *ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები)*. თბილისი: გამომცემლობა საქინფორმკინო.
- ღლონტი, ალ. (1967). *ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ღლონტი, ალ. (1984). *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. მეორე გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ჭუმბურიძე, ზ. (1966). *რა გქვია შენ*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- ხორნაული, გ. (2003). *ქართული ონომასტიკა*. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
- ჯიქია, ს. (1942). *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი*. წიგნი II. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჯიქია, ს. (1958). *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი*. წიგნი III. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩიქოვაძე, არნ. (1960). *ჭანურ-ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი*. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ივ. (1950). *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები*. თბილისი.

### REFERENCES

- akhuashvili, i. (1994). *kartuli gvar-sakhelebi. masalebi kartuli gvarebis ist'oriisatvis [Georgian Surnames. Materials for the History of Georgian Surnames]*. Vol. I. Tbilisi: Publishing House „Ganatleba“.
- beridze, m. (2020). *erti soplis t'op'onimia 3. valis t'op'onimia [Toponymy of One Village 3: Toponymy of Vale]*. Akhaltsikhe: Samtskhe-Javakheti State University Press.
- taqaishvili, e. (1949). *sumbat' davitis dzis kronik'a t'ao-k'larjetis bagrat'ionta shesakheb [The Chronicle of Sumbat Davitis Dze on the Bagrationi of Tao-Klarjeti]*. Tbilisi.
- k'ek'elidze, k'. (1960). *kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Georgian Literature]*. Vol. 1. Tbilisi.
- k'obaidze, l. (2015). potskhovis kheobis p'irsakhelta st'rukt'ura „gurjist'anis vilaietis didi davtris“ mikhedvit [Structure of Personal Names in the Potskhovi Gorge According to the “Great Defter of the Gurjistan Vilayet”]. *onomast'ik'uri k'rebuli [Onomastic Collection]*. Akhaltsikhe: Samtskhe-Javakheti State University Press.
- maisuradze, i. (1990). *kartuli gvarsakhelebi (saleksik'ono bibliografiuli masalebi) [Georgian Surnames (Lexicographic-Bibliographic Materials)]*. Tbilisi: Publishing House Sakinformkino.

- ghlont'i, al. (1967). *kartveluri sak'utari sakhelebi, antrop'onimta leksik'oni* [Kartvelian Proper Names: Dictionary of Anthroponyms]. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.
- ghlont'i, al. (1984). *kartul k'ilo-tkmata sit'qvis k'ona* [Dictionary of Georgian Dialectal Expressions]. Second edition. Tbilisi: Publishing House „Ganatleba“.
- ch'umburidze, z. (1966). *ra gkvia shen* [What Is Your Name?]. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.
- khornauli, g. (2003). *kartuli onomast'ik'a* [Georgian Onomastics]. Tbilisi: Tbilisi State University Press.
- jikia, s. (1942). *gurjist'anis vilaietis didi davtari* [The Great Deftar of the Gurjistan Vilayet]. Book II. Tbilisi: Press of Georgian Academy of Sciences.
- jikia, s. (1958). *gurjist'anis vilaietis didi davtari* [The Great Deftar of the Gurjistan Vilayet]. Book III. Tbilisi: Press of Georgian Academy of Sciences.
- chikobava, arn. (1960). *ch'anur-kartul-megruli shedarebiti leksik'oni* [Chanuri–Georgian–Megrelian Comparative Dictionary]. Tbilisi.
- javakhishvili, iv. (1950). *sakartvelos k'avk'asiisa da makhlobeli aghmosavletis ist'oriul-etnologiuri p'roblemebi* [Historical-Ethnological Problems of Georgia, the Caucasus and the Near East]. Tbilisi.